საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია

# ბრძანება № 6/27

ქ.თბილისი "24" დეკემბერი 2014წ

**ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ**

„მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. საქართველოს მთავრობის ინიციატივის ფარგლებში, ფართოზოლოვანი მომსახურების განვითარების გეგმის შესამუშავებლად და უზრუნველსაყოფად მარეგულირებელი აქტივობის დაგეგმარებისათვის, შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, შემდეგი შემადგენლობით:

ა) ანა ნაკაშიძე - კომისიის თავმჯდომარის კონსულტანტი (ჯგუფის ხელმძღვანელი);
ბ) მარიამ სულაბერიძე - სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი;
გ) ალექსანდრე ღლონტი - ინფორმაციულ-ანალიტიკური დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი;
დ) ირინა ვერძეული - სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი;
ე) ქეთევან რეხვიაშვილი - სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი;
ვ) არჩილ მაკარიძე - ინფორმაციულ-ანალიტიკური დეპარტამენტის არასაშტატო სპეციალისტი;
ზ) თეა ტყეშელაშვილი - სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსი;
თ) რატი სხირტლაძე - ინფორმაციულ-ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი;
ი) რევაზ სვანიძე - ინფორმაციულ-ანალიტიკური დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტი;
კ) მერაბ ქათამაძე - კომისიის თავმჯდომარის კონსულტანტი.

2. ამ ბრძანების პირველ პუნქტში აღნიშნულმა პირებმა უზრუნველყონ:

ა) ფართოზოლოვანი მომსახურების განვითარების მოდელირება, ტექნოლოგიური ალტერნატივებისა და ფინანსური მოდელების განსაზღვრა;
ბ) მოდელების რუკაზე დატანა და ინფრასტრუქტურის მასშტაბირება;
გ) საბითუმო მომსახურებების ფინანსური და ტექნოლოგიური მოდელირება;
დ) ჩამოყალიბებული სტრატეგიის შესაბამისად განსახორციელებელი ღონისძიებების განსაზღვრა;
ე) პროექტის ფარგლებში საერთაშორისო კოორდინაციის განხორციელება;
ვ) პროექტითა და მე-2 პუნქტით განსაზღვრული ღონისძიებების კოორდინაცია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან.

3. ამ ბრძანების პირველი პუნქტით შექმნილი სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადა განისაზღვროს 2015 წლის 1 მაისამდე;

თბილისი, 0144 ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. 50/18
ტელ.: +995 32 2921667, ფაქსი: +995 32 2921625; ელ-ფოსტა: post@gncc.ge; www.gncc.ge

4. კონტროლი აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ადმინისტრაციულ დეპარტამენტს (ი. ხარებავა);

5. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ.თბილისი საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., №6) ერთი თვის ვადაში.

კომისიის თავმჯდომარე ვახტანგ აბაშიძე